„ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანი“

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1923 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

2020 ᲬᲔᲚᲘ ● №6 (9478) ● 16-31 ᲛᲐᲠᲢᲘ ● ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲗᲗᲠᲘ

ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. საგანგებო რეჟიმის გამოცხადებით მას პრემიერმა 21 მარტს მიმართა.

”ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენი კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების შეზღუდვები, შემქნილი მდგომარეობიდან გამომდინარეობს. შეზღუდვების დაწესებისას მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნა ჩვენი დემოკრატიული უფლებები. არ იქნა შეზღუდული არც გამოხატვის და არც სიტყვის თავისუფლება”, — განაცხადა ზურაბიშვილმა სპეციალური მიმართვის დროს.

პრეზიდენტის განმარტებით, მისი გამოცემული დეკრეტით, საგანგებო მდგომარეობა ძალაშია 21 აპრილამდე, რაც ნიშნავს, რომ ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე შეიზღუდება კონსტიტუციით გათვალისწინებული მთელი რიგი უფლებები. მათ შორის, გადაადგილებისა და მიმოსვლის, საკუთრების, შეკრებისა და თავშეყრის უფლებები, საჯარო სერვისების მიწოდების შესაძლებლობა.

მკაცრი საკარანტინო რეჟიმი მოქმედებს მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში.

ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲗ ᲨᲘᲜ!

საქართველოში კორონავირუსის ინფექციის გავრცელების შესაჩერებლად საქართველოს ხელისუფლება კონკრეტულ და მიზანმიმართულ ღონისძიებებს ატარებს. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საგანგებო მდგომარეობა მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. საკარანტინო ზონაშია მოქცეული მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტი.

პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს სენაკის მუნიციპალიტეტის საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი(ხელმძღვანელი მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი) და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

მოსახლეობამ ხელისუფლების მითითებებს უნდა დაუჯეროს. მართალია ახალგაზრდები, მათ შორის ჩვენი დედების და მამების თაობაც ნაკლებად იცნობს ვირუსებთან და პანდემიებთან დაკავშირებულ ისტორიებს, მაგრამ ყველამ უნდა გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ ვდგავართ გლობალური საშიშროების წინაშე.

დროებით შევწყვიტოთ კონტაქტები, არ გავიდეთ ქუჩაში აუცილებელი საჭიროების გარეშე.

ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲗ ᲨᲘᲜ!

„ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲔᲚᲔᲑᲘ“

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘ?

ახალი კორონავირუსი (COVID-19) არის კორონავირუსების ახალი შტამი, რომლის ადამიანთა შორის გავრცელება, პირველად 2019 წელს ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში დაფიქსირდა.

ვრცელდება:

• წვეთოვანი გზით: ხველით, ცემინებით

• თვალზე, პირზე და ცხვირზე დაუბანელი ხელის შეხებით

• დაავადებულებთან მჭიდრო კონტაქტით: შეხება, ხელის ჩამორთმევა. ახალი კორონავირუსი (COVID-19) ადამიანიდან ადამიანზე ახლო მანძილზე ვრცელდება, როგორც სხვა რესპირაციული დაავადებები. დაავადების გადაცემა შესაძლოა მოხდეს დაცემინების ან დახველების დროს გამოყოფილი წვეთის სხვა ადამიანის ლორწოვანზე მოხვედრით. მეცნიერთა მოსაზრებით ხველის ან ცემინების დროს გამოყოფილ წვეთს რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გავრცელება შეუძლია. შესაძლებელია, ეს წვეთები სხვა ადამიანს ან პირდაპირი კონტაქტის გზით შეხვდეს და დაინფიცროს სუბიექტი, თუ იგი ხელით შეეხება დაბინძურებულ ზედაპირს.

ახალი კორონავირუსის ინკუბაციური პერიოდი 2-დან 14 დღემდე პერიოდს მოიცავს. ახალი კორონა ვირუსით შეიძლება ნებისმიერი ასაკის ადამიანი დაინფიცირდეს. დაავადების გართულების უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან ხანში შესული ადამიანები, ასევე ისინი, ვისაც სხვა თანმხლები დაავადებები აწუხებთ, როგორებიცაა ასთმა, დიაბეტი, გულის დაავადებები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ურჩევს ყველა ასაკის ადამიანს, რომ ვირუსისგან თავდაცვის მიზნით, მკაცრად დაიცვან ჰიგიენის წესები.

კორონავირუსის სიმპტომები:

ახალი კორონავირუსის დიაგნოზის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ რესპირაციული დაავადებების სიმპტომები, როგორიცაა:

• ცხელება

• ხველა

• სუნთქვის გაძნელება

როგორ უნდა დაიცვათ თავი ახალი კორონავირუსისგან?

• ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით არანაკლებ 20 წამის განმავლობაში ან გამოიყენეთ სპირტის შემცვლელი ხსნარი

• ნუ შეეხებით თვალებს, ცხვირსა და პირს დაუბანელი ხელით

• მოერიდეთ მჭიდრო კონტაქტს დაავადებულ ადამიანთან/არ გამოიყენოთ დაავადებული ადამიანის პირადი ნივთები

• ხველისა და ცემინებისას აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი

• მიიღეთ თერმულად კარგად დამუშავებული ხორცის პროდუქტები და კვერცხი

• მოერიდეთ დაუცველ და მჭიდრო კონტაქტს გარეულ ან/და ფერმის ცხოველებთან

როგორ უნდა დავიცვათ გარშემომყოფები დაინფიცირებისგან?

• თუ გაქვთ მაღალი ტემპერატურა ან ხველა, მოერიდეთ გარშემომყოფებთან მჭიდრო კონტაქტს

• მაღალი ტემპერატურის, ხველის და სუნთქვის გაძნელების შემთხვევაში მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას

• აცნობეთ ექიმს თქვენი მოგზაურობის ისტორია და სიმპტომები

• ცხვირსახოცი გამოყენებისთანავე დახურულ ურნაში გადაგდეთ

• უმჯობესია პირბადის გამოყენება მოხდეს, მხოლოდ ვირუსის სიმპტომების არსებობის შემთხვევაში, რათა შევამციროთ ინფექციის გავრცელება.

ეს უნდა ვიცოდეთ

მუნიციპალიტეტის მერიაში
მოხალისეებს ტრენინგი ჩაუტარდათ

სენაკის მუნიციპალიტეტის სამხატვრო გალერეის საკონფერენციო დარბაზში, კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს წითელი ჯვრის ფილიალის წარმომადგენლებმა სენაკის მუნიციპალიტეტში შექმნილ მოხალისეთა ჯგუფებს ტრენინგი ჩაუტარეს. ტრენინგზე, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი ესწრობოდნენ, მოხალისეებს სათანადო კონსულტაციები გაეწიათ. მუნიციპალიტეტში მოხალისეთა ჯგუფები დაკომპლექტდა მერიისა და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც რისკ ჯგუფში მყოფ ბენეფიციარებს დაეხმარებიან.

მოხალისეებმა, საჭიროების მიხედვით, ასევე უნდა უზრუნველყონ: ბენეფიციარებისთვის უფასო სასადილოდან საკვები პროდუქტების შინ მიტანა; საბავშვო და ბაგა-ბაღებში პროდუქტების დარიგების პროცესში მონაწილეობის მიღება; ბანკებში, კვების ობიექტებსა და სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში რიგების მოწესრიგება.

აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება.

შეხვედრაზე განხილულ იქნა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ლევან კუპრეიშვილს, მერის პირველ მოადგილეს გრიგოლ ბაღათურიას და მერის მოადგილეს კახაბერ კუპრეიშვილს შეხვდა. შეხვედრაზე განხილულ იქნა კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელბული, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებები. ასევე, ინფრასტრუქტურული პროექტების უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობის პროცესი. ხაზი გაესვა, მოსალოდნელ გამოწვევებზე მუნიციპალიტეტის რეაგირების მაქსიმალურ მზაობას.

საცხოვრებელ კორპუსებში

სენაკის მუნიციპალიტეტში, კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, სადეზინფექციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში ხორციელდება.

მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ვირუსული ინფექციის გავრცელების რისკის შესამცირებლად, სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოები მუშავდება. სადეზინფექციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, მოადგილესთან კახაბერ კუპრეიშვილთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორთან ანა ჭიჭაღუასთან ერთად, გაეცნო.

სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 95 მრავალბინიანი კორპუსი დამუშავდება, 75 - ქალაქის ტერიტორიაზე, 20 - დევნილთა დასახლებაში. სამუშაოებს შპს „პანაცეა+1" ახორციელებს. სადეზინფექციო სამუშაოები სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდება. უახლოეს დღეებში კი, სენაკის აგრარულ ბაზარსა და სხვა დარჩენილ ობიექტებსაც მოიცავს.

ამ ეტაპზე, სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში, 27-ივე საბავშვო და ბაგა-ბაღში, კერძო საბავშვო ბაღებში, მუნიციპალურ ა(ა)იპ-ებში, ზოგადსაგანმანათლებლო სექტორის ყველა საჯარო და კერძო სკოლაში, სადეზინფექციო სამუშაოები დასრულებულია.

ასევე, დეზინფიცირდა, „საჯარო სკოლებში მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში" მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩართული 45 ავტოსატრანსპორტო საშუალება.

კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, შექმნილია მოხალისეთა ჯგუფები. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი საქართველოში კორონავირუსის პირველივე შემთხვევის დაფიქსირებისთანავე შექმნა, რომელსაც თავად ხელმძღვანელობს. სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში მერიის სამსახურების ხელმძღვანელები, მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მუნიციპალური ა(ა).ი.პ-ებისა და შპს-ების დირექტორები და წარმომადგენლები შედიან, სრული დატვირთვით მუშაობს.

კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი სამთავრობო უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერია, დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდა, მაგრამ ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება მოსახლეობისთვის სოციალური და ჯანდაცვის კუთხით მომსახურების გაწევა, ასევე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება „StopCov " „დაიცავი საკუთარი თავი, დაიცავი სხვა"

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია:
ცხელი ხაზი: 599 07 74 64
ელ.ფოსტა: senakismeria@gmail.com Fb: https: / / bit.ly / 2Q8mG24
ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი: 1505
დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი: 116 001

პროდუქტების შინმიტანის პროცესი

სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის ბენეფიციარებზე კვების პროდუქტების გაცემა ყოველდღიურ რეჟიმში უწყვეტად მიმდინარეობს. ცენტრის 70 წელს გადაცილებულ 25 ბენეფიციარს დღიურ ულუფას მოხალისეები საცხოვრებელ სახლებში აწვდიან. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილთან და მოხალისეებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ცენტრის ხანდაზმულ ბენეფიციარებზე საკვები პროდუქტების შინმიტანის პროცესში. აღსანიშნავია, რომ კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრის 200 ბენეფიციარს კვების პროდუქტები გატანით მიეწოდება.

პრევენციული ღონისძიებები

სენაკის მუნიციპალიტეტში, კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, სადეზინფექციო სამუშაოები გრძელდება. მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ვირუსული ინფექციის გავრცელების რისკის შესამცირებლად, სადეზინფექციო სამუშაოები წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში ჩატარდა.

სადეზინფექციო ხსნარებით, ასევე, დამუშავდა სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახლადრეაბილიტირებული შენობა. სადეზინფექციო სამუშაოები მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრშიც ჩატარდა, სადაც ბენეფიციარებს საკვები პროდუქტი, ყოველდღიურად, შეუფერხებლად მიეწოდებათ.

სადეზინფექციო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი გაეცნენ.

პროდუქტები სოციალურად დაუცველი 340 აღსაზრდელის ოჯახზე გადანაწილდა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით, ის არამალფუჭებადი პროდუქტები, რომლებიც მიმდინარე არდადეგების დროს საბავშვო და ბაგა-ბაღებში უნდა გამოყენებულიყო, სკოლამდელი აღზრდის სექტორში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი 340 აღსაზრდელის ოჯახზე გადანაწილდა. კვების პროდუქტების გაცემის პროცესს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორთან, ალექსანდრე ჯანჯღავასთან, საბავშვო და ბაგა-ბაღების დირექციასთან ერთად დაესწრნენ.

ამ ეტაპზე, სენაკის მუნიციპალიტეტის 27-ვე საბავშვო და ბაგა-ბაღში, სადეზინფექციო სამუშაოები დასრულებულია.

მოსწავლეთა უსაფრთხოებისათვის



კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, სადეზინფექციო სამუშაოები ჩაუტარდა იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირებას ემსახურება. მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ვირუსული ინფექციის გავრცელების რისკის შესამცირებლად, „საჯარო სკოლებში მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში" მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩართული 45 ავტოსატრანსპორტო საშუალება დეზინფიცირდა. სადეზინფექციო სამუშაოების მიმდინარეობას, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი და სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დარეჯან ზარანდია დაესწრნენ.

სამუშაოებს ინდ. მეწარმე დავით ბჟინავა ახორციელებს. აღსანიშნავია, რომ, ამ ეტაპისთვის, სადეზინფექციო სამუშაოები ასევე დასრულებულია მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლაში.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღე

პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე

ჩვენში, ჟურნალისტიკის ისტორია, სათავეებს იმ დიდი ქართველი მამულიშვილებიდან იღებს, რომელთა ღვაწლიც ფასდაუდებელია ერის ისტორიაში.

ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს მშობლიურ სენაკში, ჟურნალისტიკის ტრადიციები თითქმის საუკუნოვან გაზეთ ,,კოლხეთს'' უკავშირდება და ეს საამაყო გზა დღესაც ღირსეულად გრძელდება.

იყო ჟურნალისტი, ეს ნიშნავს, მიუკერძოებლად, ყოველდღიურ რეჟიმში, იდგე ქვეყნის, ხალხის სადარაჯოზე.

დღეს, როგორც არასდროს, თქვენ გეკისრებათ სიმართლის მსახურების, სინამდვილის პირუთვნელი ასახვის უმნიშვნელოვანესი მისია, რაც, ჩვენი ცხოვრების ამ ურთულეს პერიოდში, უდიდესი პასუხისმგებლობაა ქვეყნის წინაშე.

ჟურნალისტიკის ყველა თაობის წარმომადგენლებს გულითადად გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს.

გისურვებთ წინამორბედთა დიდი გზის ღირსეული გამგრძელებლები ყოფილიყავით, რაც ქვეყნისა და სიმართლის მსახურებას ნიშნავს.

წარმატებებით და გამარჯვებებით გევლოთ მარად!

ლევან კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

„უკვდავებაში გადასული“

სიკვდილო, მოგვიმრავლდი, ოხერო! საუკეთესოებს სტუმრობ, კეთილშობილ ადამიანებს გვართმევ. რომ არა შენ, ჩვენი კოლეგები: თამაზ კანკია, ბორის შენგელია, კარლო ტაბაღუა, ლევან ჯანჯღავა, გოგოლა მზარელუა, მერი ბუკია, ლამარა გადელია... ჩვენთან იქნებოდნენ. მაგრამ რადგან ,,ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი" და ,,მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი", ვცდილობთ ჩვენში ვაცოცხლოთ ჩვენგან წასულები, ვიხსენებთ მათ მიერ გაკეთებულ საქმეებს, ვიგონებთ მათ ხედვას, პროფესიულ უნარ-ჩვევებს, მათ ადამიანურ თვისებებს, რითაც უხილავ კვშირს განვაგრძობთ, ჩვენში არსებულ მათ სულებს ჩვენს რეალობაში ვამყოფებთ. ასე მიდის მარადისობის წრებრუნვა.

ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით ამ წუთისოფლიდან ნაადრევად წასული უნიჭიერესი შემოქმედი და ჟურნალისტი ლევან ჯანჯღავა გვინდა გავიხსენოთ, რომელიც გარკვეული პერიოდი ,,კოლხეთთან" არსებულ რადიოგანყოფილებას ხელმძღვანელობდა. მან მოყვრის სიყვარულითა და ღვთის მოშიშებით განვლო საწუთრო. რომ არა ბედისწერა, მძიმე სენი, სიკვდილის მსახვრალი ხელი, ლევანი დღეს ცოცხალი იქნებოდა და... ჟურნალისტიკაზე განსხვავებულ, მისეულ დახვეწილ ხედვას შემოგვთავაზებდა, შექმნილ, მიმდინარე პროცესებზეც ექნებოდა პასუხი, დაწერდა სტატიებს, გაგვანებივრებდა ახალ-ახალი ლექსებით, დაგვასაჩუქრებდა გამოცემული კრებულებით, გამართავდა შემოქმედებით საღამოებს.... იდგებოდა იქ, სადაც სინდისი უკარნახებდა. მაგრამ ისევ ეს გაცვეთილი სიტყვა, რომ არა...

,,თვით სხეულით ტანჯული სხვას ამხნევებდა და ნუგეშს სცემდა თავისი რწმენით და სასოებით. მისი ღვთის სიყვარული მაგალითი იყო მორწმუნეთათვის. დადიოდა იგი ამ წუთისოფელში, რომ ურწმუნოთათვის უფლის გზა ეჩვენებინა, ხოლო მორწმუნეთათვის ნათელი ყოფილიყო. დაიბადა ბიჭი წუთისოფელში, რათა უკვდავებაში გადასულიყო, იმისთვის, რომ მისი სული ანგელოზთა თანა დამკვიდრებულიყო". ამონარიდი არქიმანდრიტი მელქისედეკის წერილიდან).

გთავაზობთ
ლევან ჯანჯღავას ლექსებს:

ბევრი ამბობს ჩემზე, ამაყიაო. მიუხედავად იმისა, რომ სიამაყე დიდი ცოდვაა, ვერ უარვყოფ, ამაყი ვარ. საოცარი, ალბათ, ის არის, რომ მე პირადად ამისათვის არაფერი გამიკეთებია და მაინც, ვამაყობ ერთადერთით, მხოლოდ და მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ელენე ადამიას შვილი ვარ. ჩემში ყოველ გრძნობას, თუ გამაჩნია საერთოდ ასეთი რამ, კონკრეტული სახელი და ფერი ალამაზებს. ჩემს სიყვარულს იცით, ალბათ რა ჰქვია, ჩემს მეგობრობასაც. შენ არ იცი? არაუშავს, ზოგჯერ თავადაც არ ვიცი. ჩემს მონატრებას კი ზღაპარი ჰქვია, სადაც ამღერდა სევდა, სიმღერას ტკივილი ჰქვია, სევდა, ტკივილი და კიდევ დედა.

ყოველ სიზმარში

ყოველ სიზმარში წერილს გიგზავნი,
ქარს ვევედრები, მოგიტანს, მჯერა,
და უცებ მესმის ქვითინი ქალის,
რა წაიკითხა ასეთი, ნეტავ?

მე არაფერი მითქვამს ისეთი, რაც არ ყოფილა,
ეს იცის ღმერთმა,
ლამაზი სიტყვა მოგწერე მხოლოდ,
ის ორი სიტყვა: მიყვარხარ დედა!

წერილებს ვგზავნი, მაგრამ პასუხი
სიზმარში მაინც მარგუნოს ბედმა
გამეღვიძება, აი პასუხი
თვალებზე ბრწყინავს უმანკო ცრემლად.

ამქვეყნად ბევრი გიცნობდა, ვიცი,
სიკეთით მოფერებიხარ ბევრსა.
და როცა ამას გაიხსენებენ,
ყოველთვის გული სხვაგვარად ფეთქავს.

აპრილის მოსვლა მე მომილოცა
პატარა მერცხლის ჭიკჭიკმა, ფრენამ,
ალუბლის ტოტზე ნაზი ყვავილი
კვლავ მომაგონებს შენს მოფერებას.

ეს სითბო ჩემში იქნება მანამ,
სანამ არ დავწერ მე ბოლო ლექსსა,
გჯეროდეს, მასაც გაალამაზებს
ეს ორი სიტყვა: მიყვარხარ დედა.

წუხელის ვარსკვლავსაც უმღერა
გულში დაჭრილმა გედმა,
მას შემდეგ ცაზე ვიღაცა ტირის
და ცივი წვიმის იღვრება წვეთად,
წვიმის წვეთია?არა, ცრემლია,

რომელიც ისევ მაგონებს სევდას,
ქარი ამღერდა, აი, წერილი,
ვის მიუტანთ? კვლავ მონატრებას!
ჩემს მონატრებას ზღაპარი ჰქვია,

ზღაპარი, სადაც ამღერდა სევდა.
მის სიმღერას კი კი ტკივილი ჰქვია,
სევდა, ტკივილი და კიდევ დედა

არ მინდა ტაში

თუ არ მოგწონვართ, ნუ მომისმენთ - არ მინდა ტაშიც.
ასეთი ვარ და ნუ შეგეშლებით მე ვინმე სხვაში.
ჩემი ლექსი და სიმღერა უცნაურ ხმაში
მინდა თქვენთანაც მოფრინდეს, ვით თეთრი რაში.
როცა ვუყურებ ამ ცხოვრებას, რა ვქნა, არ ვიცი,
რა მინდა, ზოგჯერ დამიჯერეთ-ისიც არ ვიცი.
გაზაფხულია, ზაფხულია, კვლავ შემოდგომა,
ფოთოლცვენაა-მალე ისევ ზამთარი მოვა.
ტრიალებს ასე ფიფქი , წვიმა, ნისლი და მზე,
დიდ მინდორში კი დავრჩით მარტოდ-ლექსი და მე.
და უცებ ლექსმა ჩამჩურჩულა-ავფრინდეთ ჩვენც.
და ერთად მჯერა დავაბრუნებთ იმ ლამაზ დღეს,
როცა არავინ გღალატობდა, შენც ენდობოდი.
ლამაზი ქალის ლამაზი სულით მუდამ თვრებოდი,
გენატრებოდა შორეული არსება ნაზი,
როცა ესმოდათ შენი ლექსის, ღიმილის ფასი.
მე პოეტი ვარ, ლექსს ტყუილი არ შეუძლია.
მერე რა მოხდა, რომ მასში მხოლოდ სინანულია.
მონატრებები ლამაზი დღის, ერთად ყოფნის,
ჩვენი ბავშვური სადღეგრძელოსი, სუფთა გრძნობისა.
გიყურებთ თქვენ და ვამაყობ იმით, რომ აქ ხართ.
მადლობა უფალს! ამისრულდა ბავშვობის ნატვრა-
სცენაზე ვდგავარ, ლექსს ვკითხულობ, დარბაზი სავსე.
თქვენს სიკეთეს ვგრძნობ, ვით ვარსკვლავი მთვარიან ცაზე.
თუ არ მოგწონვართ, ნუ მომისმენთ- არ მინდა ტაშიც...

ჩემო ერთგულო მეგობარო...

ჩემო ერთგულო მეგობარო, სულის ტკივილო,
გუშინაც მკითხეს, შენი ლექსი რატომ ტირისო.
რა, ან ვის ვუთხრა, ვის გავანდო, რომელი ერთი,
ისევ მარტო ვართ მე და ჩემი მფარველი ღმერთი.
ჩემო ერთგულო მეგობარო, შენ, სიმარტოვე,
მადლობელი ვარ, რადგან აქ ხარ, არ მიმატოვე.
მაშინაც, როცა ცივ ქარებში დაქროდა რაში,
მე კი ვმღეროდი უსასრულოდ- არ მინდა ტაში.
ჩემო ერთგულო მეგობარო, ეულო ცრემლო!
გულის სიღრმეში კვლავ იბრწყინე,
არ გეტყვი ბევრსო.
წამწამებს როცა დაასველებ
გრძნობის ტალღებით,
მიტოვებული ზღვის ნაპირას ლექსად დაგხვდები.
ჩემო ერთგულო მეგობარო, ოცნების მთვარევ.
ნეტავ, ვინ გახსნის ჩემი სულის
დაშვებულ ფარდებს?
და მერამდენე გაზაფხული მოდის მერცხლებით,
მე კი მზის სითბოს, თუნდაც სხივსა,
ვერა, ვერ შევხვდი.
ჩემო ერთგულო მეგობარო- შენ, სიყვარულო!
ყველაზე ტკბილო მონატრებავ და სიხარულო!
მოგეფერები, მაგრამ უცებ-არც ვიცი, როგორ,
ერთფეროვნების ცივი ზღაპრის
ფანტელი მოთოვს.
ჩემო ერთგულო მეგობარო! წმინდა სანთელო!
არ გამიფრინდე ღიმილივით, გულის სათქმელო!
მე წავალ, მაგრამ ამღერდება ლექსები სხვისი,
ნება ხომ ხედავ ზეცაშია და მხოლოდ მისი!
ჩემო ერთგულო მეგობარო-სულის ტკივილო!
გუშინაც მკითხეს, შენი ლექსი რატომ ტირისო.
რა, ან ვის ვუთხრა, ვის გავანდო, რომელი ერთი-
ისევ მარტო ვართ მე და ჩემი მფარველი ღმერთი!

ჩემი არჩევანი...

მე არჩევანი გავაკეთე კარგა ხანია,
იგი გულშია, ლექსებშია, მაღალ ცაშია.
უკვე მეასედ ვიმეორებ და კიდევ ერთხელ:
მე არჩევანი შევაჩერე ჩემს უფალ ღმერთზე.
გალობა ისმის, სანთელი იწვის, ბიჭი კი ტირის,
თქვენ ვერც მიხვდებით, რატომ, მაგრამ უფალმა იცის.
ამ ცრემლებშია შეცოდება ადამიანის,
რომელიც მიყვარს, მაგრამ მისგან ძალზე შორს არის.
ის კი ყველასთან გვერდითაა, ყველასთან, ვიცი.
რომ გაგვაჩინა ჩვენ ამქვეყნად, დაფიქრდით,რისთვის?
მხოლოდ იმისთვის, რომ ვიაროთ ჩვენ ყველამ ერთად,
ვაშენოთ, ვთესოთ სიკეთე და მივიდეთ ღმერთთან.
რა ავაშენეთ და რა ვთესეთ, მე კარგად ვიცი.
აი, შედეგი, რეალობა, რომელსაც ვიმკით.
და მაინც დღეს ამ სიმღერაში გალობა ისმის,
მაცხოვრის ხატთან ბიჭი ტირის, სანთელიც იწვის...
მე არჩევანი გავაკეთე დიდი ხანია,
იგი გულშია, ლექსებშია, მაღალ ცაშია.
უკვე მეასედ ვიმეორებ და კიდევ ერთხელ,
მე არჩევანი შევაჩერე ჩემს უფალ ღმერთზე.

საჭიროა სწრაფი და კოორდინირებული მოქმედება

საქართველოში კორონავირუსის ინფექციის გავრცელების შესაკავებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სწრაფ და კოორდინირებულ მოქმედებებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით თავდაუზოგავად მუშაობენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები.

ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ცენტრის დირექტორს ქალბატონ ანა ჭიჭაღუას.

ქალბატონო ანა, ბოლო მონაცემებით რამდენი ადამიანია გადაყვანილი საკარანტინო სივრცეში სენაკის მუნიციპალიტეტიდან?

ბოლო მონაცემებით სენაკის მუნიციპალიტეტიდან კარანტინში იმყოფება რვა მოქალაქე. ამათგან შვიდი მოთავსებულია ბათუმში, ხოლო ერთი თბილისში. მათი უმრავლესობა საქართველოში შემოსულია თურქეთიდან.

რამდენი იმყოფება თვითიზოლაციაში?

სენაკის რაიონში თვითიზოლაციაში ამჟამად იმყოფება 55 მოქალაქე. ისინი ზედმიწევნით იცავენ თვითიზოლაციის წესებს. ჩვენი მხრიდან კი მიმდინარეობს მაქსიმალური კონტროლი. ვახორციელებთ როგორც ტელეკომუნიკაციას, ასევე დავდივართ კვირაში 2-3 ჯერ თითოეულ მათგანთან. ვცდილობთ გავაკონტროლოთ თითოეული ნიუანსი.

რა ზომებს მიმართავთ, როდესაც თვითიზოლაციის პირობებს არღვევს მოქალაქე?

თავდაპირველად თვითიზოლაციაში მყოფ პირს ვაცნობთ პირობებს თუ როგორ უნდა დაიცვას თავი და მის ირგვლივ მყოფები. დარღვევის შემთხვევაში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია დარეკოს ცხელ ხაზზე და ან 112-ში. ამის შემდეგ დამრღვევ პირს ვაძლევთ პირველად გაფრთხილებას, ხოლო განმეორებით შემთხვევაში გადაგვყავს კარანტინში. ჩვენი მხრიდან მიმდინარეობს საკმაოდ მკაცრი მონიტორინგი თვითიზოლაციაში მყოფი პიროვნებებისადმი.

რა პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს სენაკის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრი?

რაც შეეხება პრევენციულ ზომებს. დეზინფექცია ტარდება აბსოლუტურად ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებაში. სენაკის მუნიციპალიტეტში არსებობს შ.პ.ს. „პანაცეა“, რომელიც ასრულებს ამ სადეზინფექციო სამუშაოებს. ზოგადად სასურველია ასეთი სამუშაოები ჩატარდეს ხშირად, ჩვენს შემთხვევაში კი ეს ტარდება პერიოდულად საჭიროებისამებრ.

კოვიდ -19-ის დაფიქსირების შემთხვევაში სად განთავსდებიან ავადმყოფები, თუ ამის საჭიროება შეიქმნება?

თავდაპირველად იყო ლაპარაკი, რომ ყველა მუნიციპალიტეტს ჰქონოდა საკარანტინო ზონა. მოძიებულიც იქნა საავადმყოფოები, მაგრამ შემდეგ შეიცვალა მთავრობის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან რთულად ჩათვალეს გაბნეულად საკარანტინო ზონის არსებობა. საბედნიეროდაც ჯერჯერობით ამის აუცილებლობაც არ არსებობს, თუმცა თუ საჭიროებამ მოითხოვა ჩვენს მუნიციპალიტეტს ამის პრობლემა არ ექნება.



და ბოლოს, ქალბატონო ანა, თუ შეიძლება გვითხარით იმ ჯგუფის შესახებ, რომელსაც ამ სიტუაციაში უწევს მუშაობა.

სენაკის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრში კოვიდ-19-ის ეპიდსიტუაციის გამო შექმნილია ცხრა კაციანი ჯგუფი. ვმუშაობთ 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით. ეს ადამიანები არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე გამოცდილი სპეციალისტები.

ანა ჭიჭაღუა,
ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი
ლალი ავალიანი, ეპიდემიოლოგი
ნინო ოდიშარია, ეპიდემიოლოგი
მაია ღვინჯილია, ეპიდემიოლოგი
ნათია კუპრეიშვილი, ბუღალტერი
ლამზირა ქობალია, ეპიდ-თანაშემწე
მაია ხურცია, ეპიდ-თანაშემწე
შორენა გვასალია, ეპიდ-თანაშემწე
ინგა ქობალავა, სანიტარი

მე, როგორც ამ დაწესებულის დირექტორი სათითაოდ ყველა მათგანს ვუხდი მადლობას თავდაუზოგავი შრომისათვის.

ქალბატონ ანას და ჯანდაცვის ცენტრის თითოეულ თანამშრომელს ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებულ საქმიანობას ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

სიკეთე გვაერთიანებს

წლის დასაწყისში,ჯერ კიდევ მაშინ როცა ქვეყნის მასშტაბით ჰაერი პიროტექნიკის "სასიამოვნო" სუნით იყო გაჟღენთილი, ვერავინ იფიქრებდა რომ საქართველო მსოფლიო სენს, პანდემიას Covid19-ს შეებრძოლებოდა. ვირუსმა, რომლის სახელიც ქართველებმა ჩვეული დამახასიათებელი იუმორით შოკოლადს დავუკავშირეთ, მსოფლიო ეკონომიკურ-პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დააყენა. დაიწყო ჩინეთით და მთელი ევროპის ქვეყნები მოიცვა. კორონა ვირუსმა შეძლო და გააერთიანა მსოფლიო, დაგვანახა თითოეული ადამიანის როლი და ფუნქცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მივხვდით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა... ჩვენი მედიკოსების თავდაუზოგავი შრომის შედეგად უკვე გვყავს 13 გამოჯანმრთელებული ადამიანი. დავრჩით სახლში და მივიღეთ შესაბამისი რეკომენდაციები ვირუსის თავიდან ასაცილებლად.

ქვეყანაში არსებული კრიზისის მიუხედავად, ახალგაზრდების ჯგუფმა,- რომელსაც ანა ბაკურაძე ხელმძღვანელობს, შეძლო გაერთიანება სახელწოდებით „სიკეთე გვაერთიანებს", შეგროვდა თანხა, საკვები, ტანსაცმელი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლითაც დახმარება გავუწიეთ მთელი ქალაქის მასშტაბით მრავალშვილიან , სოციალურად დაუცველ ოჯახებს და ასაკოვნებს. ახალგაზრდები აქტიურად ვაგრძელებთ მსგავსი აქტივობის განხორციელებას მოკლე ხანებში. მსოფლიოს კი ვუსურვებთ მშვიდობასა და ერთიანობას.

ქრისტინე ელიავა

სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის და გაზეთ „კოლხეთის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ ლუარა ჯიქიას, ეკა, რამაზ, კობა კარტოზიებს მეუღლის და მამის

რამაზ კარტოზიას

გარდაცვალების გამო

სარედაქციო ჯოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბალათურია
ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499